

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----- 8
სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----- 10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----- 11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 12
2. მომზადების საფუძველი----- 12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები ----- 13
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები----- 20
5. გაცემული სესხები ----- 20
6. ძირითადი საშუალებები----- 22
7. არამატერიალური აქტივი ----- 22
8. გადავადებული საგადასახადო აქტივი ----- 23
9. სხვა აქტივები ----- 24
10. სესხები დაკავშირებული მხარისგან ----- 24
11. სხვა ვალდებულებები ----- 25
12. სააქციო კაპიტალი----- 25
13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ----- 25
14. პერსონალის ხარჯი ----- 26
15. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები ----- 26
16. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი ----- 26
17. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ----- 31
18. განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები ----- 32
19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა ----- 34
20. არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით ----- 35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაში, 2018-2019 წლების განმავლობაში, იმ დარგის მარეგულირებელ სივრცეში რომელშიც სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“ ოპერირებს, მაღალი ალბათობით მოსალოდნელია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ მოსალოდნელია:

- გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპების შემოღება
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შემოღება
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, სესხების შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესის შემოღება.

ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაში, ახსნილია რომ ზემოაღნიშნული მოვლენები და პირობები არსებით განუსაზღვრელობაზე მიანიშნებენ. ამავე შენიშვნაში მოცემულია ადეკვატური განმარტებები - ზემოაღნიშნულ მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტირების მიზნით, ხელმძღვანელობის გეგმების შესახებ. ხელმძღვანელობის მიერ დასახული გეგმების პრაქტიკაში განუხორციელებლობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოვლენები და პირობები მნიშვნელოვან ეჭვს ბადებენ სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ მაგრამ აუდიტორის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2017 წლის 18 ოქტომბერს უპირობო მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის

ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.
ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგებას) და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგებას) და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა

აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან შესაბამის შემთხვევაში განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
ლევან პაპიაშვილი

2018 წლის 13 ივნისი

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	46,782	376,773
წმინდა გაცემული სესხები	5	2,562,943	1,866,228
ძირითადი საშუალებები	6	19,908	27,512
არამატერიალური აქტივები	7	14,083	15,707
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	9,483	33,421
სხვა აქტივები	9	19,138	28,648
სულ აქტივები		2,672,336	2,348,289
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარისგან	10	2,240,471	2,144,958
სუბორდინირებული სესხი	10	226,505	100,000
სხვა ვალდებულებები	11	28,237	10,701
გადასახდელი გადასახადები		24,234	3,873
სულ ვალდებულებები		2,519,447	2,259,532
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(97,111)	(161,244)
სულ კაპიტალი		152,889	88,756
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,672,336	2,348,288

დირექტორი
ლელა კიკნაძე

----- 2018

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

----- 2018

თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	13	966,458	875,386
საპროცენტო ხარჯი	13	(404,921)	(373,903)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		561,538	501,483
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	5	(45,274)	(153,955)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვების შექმნის შემდეგ		516,264	347,528
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		510	950
მიღებული ჯარიმები და საურავები		37,932	73,286
პერსონალის ხარჯები	14	(259,093)	(371,995)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(177,026)	(143,885)
საკურსო სხვაობით და გადაფასებებით მიღებული მოგება/ (ზარალი)		-	(176)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		118,587	(94,292)
მოგების გადასახადის სარგებელი /(ხარჯი)	8	(54,453)	15,586
პერიოდის მოგება (ზარალი)		64,134	(78,706)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მოგება (ზარალი) და სრული შემოსავალი		64,134	(78,706)

დირექტორი
ლელა კიკნაძე

----- 2018

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

----- 2018

თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
12/31/2015	250,000	(83,751)	166,249
კორექტირება		1,213	1,213
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(78,706)	(78,706)
12/31/2016	250,000	(161,245)	88,755
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	64,134	64,134
12/31/2017	250,000	(97,111)	152,889

დირექტორი
ლელა კიკნაძე

----- 2018

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

----- 2018

თბილისი

**2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
სულ წლის სრული მოგება	64,134	(78,706)
არაფულადი ერთეულების კორექტირება:	-	1,213
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	54,453	(15,586)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,229	7,537
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	45,274	153,955
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	173,090	68,413
ცვლილებები კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(741,989)	146,888
დარიცხული საპროცენტო ხარჯის ზრდა/(კლება)	2,018	-
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში გარდა მოგებისა	(10,156)	3,873
ცვლილებები სხვა აქტივებში	9,509	(31,536)
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	17,536	(31,271)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები პროცენტის მიღებამდე/(გადახდამდე)	(549,991)	156,367
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(549,991)	156,367
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(28,324)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(28,324)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	125,000	100,060
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	95,000	100,547
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	220,000	200,607
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(329,991)	328,650
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	376,773	48,123
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	46,782	376,773

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში სს "მაიკროფინის" მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 819,028 და 402,903 ლარი.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მის მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 773,136 და 373,295 ლარი.

დირექტორი
ლელა კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

----- 2018

----- 2018

თბილისი

თბილისი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**1. ზოგადი ინფორმაცია**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მაიკრო ფინი" (405072040), შემდგომში კომპანია, დაარსდა 2014 წლის 17 ნოემბერს, სს "კონსტანტას" და ფონდი კონსტანტას გადაწყვეტილებით (საბჭოს დადგენილება №1, 2014 წლის 17 ნოემბერი) და დარეგისტრირდა როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 2015 წლის 27 იანვარს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (2006 წლის 18 ივლისი) შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქ. N30, კორ. 2, ბ. 36

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო საბჭო. "მაიკრო ფინი"-ს საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის ამოცანებს წარმოადგენს მიკრო და მცირე ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსურ პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალური ბიზნეს სესხები.

აქციონერები არიან სს "კონსტანტა" (90%), სამეწარმეო პირი, რომელიც რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოში და "ფონდი კონსტანტა" (10%), არაკომერციული იურიდიული პირი.

2. მომზადების საფუძველი*(ა) ანგარიშგების შესაბამისობა*

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

„კომპანიის“ ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ასახავს შესაბამის ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

(დ) დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების,

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

ინფორმაცია შეფასებების მნიშვნელოვან სფეროებთან დაკავშირებული გაურკვევლობებისა და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების შესახებ კრიტიკულ დასკვნებთან დაკავშირებით, აღწერილია შენიშვნაში 5 -სესხის გაუფასურების შეფასებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები**I. კლასიფიკაცია**

სესხები და დავალიანებები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსასაზღვრი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ სესხებისა და დავალიანებებისა:

- რომელთა გაყიდვასაც კომპანია სასწრაფოდ ან უახლოეს დროში აპირებს;
- რომელსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში;
- რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც ხელმისაწვდომს,
- როდესაც კომპანია ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად აღდგენას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზისა.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხების კატეგორიაში, რომელიც მოიცავს კლიენტებზე გაცემულ სესხებს, ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს და სხვა აქტივებს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს დაკავშირებული მხარისგან და სხვა ვალდებულებებს.

II. აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოებს იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარე.

III. შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის იმ დანახარჯების დამატებით (იმ აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არიან აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები და სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

IV. ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი გადასახდელი თანხების გამოკლებით, აკუმულირებული ამორტიზაციის მიმატებით, ან გამოკლებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვისდროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობასთან მიმართებაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

V. სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით, რომელზეც აქვს წვდომა „კომპანიას“ და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზაზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებენ მხედველობაში.

თავდაპირველად აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკონპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისაგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს; ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით თავდაპირველი წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

VI. მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივისათვის აისახება მოგებაში ან ზარალში, როცა წყდება ფინანსური აქტივი ან ვალდებულების აღიარება ან მისი გაუფასურება, და ამორტიზაციის პროცესში.

VII. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსურ აქტივში

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება "კომპანიაში", აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება, ან იწურება. კომპანია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

VIII. ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნას აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(დ) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს "კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფები გაუფასურდა. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, კომპანია განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის ამგვარი აქტივების ჯგუფის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ზარალი გამოწვეულია ფინანსური აქტივის (ზარალის შემთხვევაში) თავდაპირველი აღიარების შემდეგ წარმოშობილი ერთ ან რამდენიმე მოვლენით და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რაც შესაძლოა სარწმუნოდ შეფასდეს.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას; ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურიზაციას ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ძირითადად შედგება სესხებისაგან. კომპანია რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

კომპანია ინდივიდუალურად განსაზღვრავს თითოეული სესხის გაუფასურების საკითხს. სესხების შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესი იხილეთ შენიშვნა 5-ში.

(ე) სააქციო კაპიტალი

(I) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. დამატებითი ნაზარდი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გამოშვებასთან, აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(II) დივიდენდები

„კომპანიის“ შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ, აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება საბალანსო მოგების განაწილების სახით მათი გამოცხადების პერიოდში.

(ვ) დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებენ ან არსებითად მოქმედებენ საანგარიშგებო თარიღისთვის და აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვთ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებსაც კომპანია მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არსებობს მოლოდინი იმისა, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(ზ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო დასხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის მთლიანი შემოსავლების განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის მოგებაში ან ზარალში აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(თ) ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მისომ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული შემდეგი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა.

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ასევე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. აღნიშნულ ცვლილებას მისოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

რამდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე. კომპანია გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ

საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017	2016
ნაშთები ბანკში	48,209	417,137
თანხა საგარანტიო-სადეპოზიტო ანგარიშზე ჯორჯიან ქარდის სისტემით ოპერაციების განხორციელებისთვის	20,000	20,000
შეზღუდული ფულადი სახსრები	(21,427)	(60,364)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46,782	376,773

5. გაცემული სესხები

2017 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის პორტფელი ორი ჯგუფის სესხებისაგან შედგება, სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები

31 დეკემბერი 2017	გაცემული სესხი (ძირი თანხა)	პროცენტულად პორტფელთან
ბიზნეს სესხი	2,562,772	97%
სამომხმარებლო სესხი	78,719	3%
სულ გაცემული სესხები	2,641,491	100%

შემდეგი ცხრილი იძლევა ინფორმაციას კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

	სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) %
სესხები ინდივიდუალური გაუფასურების ნიშნების გარეშე (0-30 დღე ვადაგადაცილება) გაუფასურებული სესხები: ვადაგადაცილება 30-180 დღე	2,611,984	-	2,611,984	0.00%
რესტრუქტურირებული სესხები	29,507	(30,983)	(1,475)	105%
სულ გაცემული სესხები	2,641,491	(30,983)	2,610,508	1.2%

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში მოცემულია ქვემოთ:

	2017	2016
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	60,194	42,982
წმინდა ხარჯი	67,537	323,163
ჩამოწერა	(85,250)	(305,951)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	42,482	60,194

წმინდა გაცემული სესხები

2017 წლის განმავლობაში კომპანია ახდენს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირებას შემდეგი წესის მიხედვით:

- როდესაც სესხზე ვადაგადაცილება გადააჭარბებს 30 დღეს, მასზე იქმნება რეზერვი სესხის დარჩენილი ძირი თანხის 105%-ის ოდენობით.
- რესტრუქტურირებულ სესხებზე იქმნება რეზერვები სესხის დარჩენილი ძირი თანხის 105%-ის ოდენობით.

წმინდა გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია 2017 და 2016 წლების საანგარიშგებო პერიოდების ბოლოსათვის მოცემულია ქვემოთ:

	2017	2016
ძირითადი თანხა	2,641,491	1,961,656
პროცენტი	57,364	40,198
ვადაგადაცილებულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	24,015	16,592
კრედიტის გაცემის გადავადებული საკომისიო	(71,630)	(40,766)
ზედმეტობა სესხის სტანდარტული გადახდის პირობებთან მიმართებაში	(45,815)	(51,257)
გაუფასურების რეზერვი	(42,482)	(60,194)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	2,562,943	1,866,229

6. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	ავთომობილა და მოწყობილობა	სულ
საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	32,043	6,127	38,170
დამატება	-	-	-
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	32,043	6,127	38,170
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	(8,844)	(1,815)	(10,659)
პერიოდის ცვეთა	(6,378)	(1,225)	(7,603)
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	(15,222)	(3,040)	(18,262)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	23,199	4,312	27,512
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	16,821	3,087	19,908

7. არამატერიალური აქტივი

	არამატერიალური აქტივი	სულ
საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,249	16,249
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,249	16,249
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	(542)	(542)
პერიოდის ცვეთა	(1,625)	(1,625)
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	(2,167)	(2,167)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	15,707	15,707
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	14,083	14,083

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს გორგოჯიან ქარდის ბარათების მართვის სისტემური მოდულების სარგებლობის უფლება.

8. გადავადებული საგადასახადო აქტივი

მოგების გადასახადის ხარჯი

	2017	2016
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	(30,517)	(3,873)
გადავადებული მოგების გადასახადი		
დროებითი სხვაობების წარმოშობისა და		
ამოწურვის შედეგად	(23,936)	19,459
სულ მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი	(54,453)	15,586

ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დროებითი დაქვითვადი სხვაობები არ იწურება მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე. ქვემოთ წარმოდგენილია მოძრაობები დროებით სხვაობებში 2017 წლის სამეურნეო პერიოდის განმავლობაში:

	ნაშთი 31.12.16	აღიარებული მოგება/ ზარალი	ნაშთი 31.12.17
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(4,046)	708	(3,338)
კლიენტებზე გაცემული სესხები	36,944	(26,200)	10,744
სხვა ვალდებულებები	522	1,554	2,076
	33,421	(23,938)	9,483

ბ) აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის პერიოდისთვის:

	აქტივები	ვალდებუ ლებები	წმინდა
	2017	2017	2017
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	(3,338)	(3,338)
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,744	-	10,744
სხვა ვალდებულებები	2,076	-	2,076
წმინდა საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	12,821	(3,338)	9,483

9. სხვა აქტივები

	2017	2016
მსესხებელი კლიენტების სასარჩელო-საბაჟო დავალიანება	8,574	9,079
მოთხოვნა "ექსპრეს ფეის" თვითმომსახურების აპარატებით განხორციელებულ დაფარვებთან დაკავშირებით	6,795	10,447
წინასაწარ გადახდილი საიჯარო ქირა	3,285	1,748
სხვა ავანსები იურიდიულ პირებზე	485	297
ავანსად გადახდილი გადასახადი	-	7,077
სულ სხვა აქტივები	19,138	28,648

10. სესხები დაკავშირებული მხარისგან

	2017	2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	2,225,000	2,130,000
სუბორდინირებული სესხი	225,000	100,000
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,450,000	2,230,000
მიმდინარე ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარისგან მიღებულ არაუზრუნველყოფილი სესხებზე დარიცხული %	15,836	14,898
სუბორდინირებულ სესხზე დარიცხული %	1,141	60
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16,976	14,958
სულ სესხები დაკავშირებული მხარისგან	2,466,976	2,244,958

პროცენტიანი ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2017 წელი

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	სესხის დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	GEL	16.93%	2020-2022	2,225,000	2,225,000
სუბორდინირებული სესხი დაკავშირებული მხარისგან	GEL	21.93%	2021-2022	225,000	225,000
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				2,450,000	2,450,000

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

11. სხვა ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016
დავალიანება მიღებული მიმდინარე მომსახურებებიდან	11,021	7,022
წლის აუდიტორული მომსახურების რეზერვი	3,363	3,363
თანამშრომელთა ბონუსის რეზერვები და გადასახდელი ხელფასი	7,141	315
ვალდებულება არააქტიური მსესხებლების წინაშე	6,712	-
სულ სხვა ვალდებულებები	28,237	10,700

12. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალში 2017 წლის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა.

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ:

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	წილი %	სააქციო კაპიტალი (ლარი)
სს "კონსტანტა"	225,000	90%	225,000
ფონდი კონსტანტა	25,000	10%	25,000
სულ სააქციო კაპიტალი	250,000	100%	250,000

13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	966,458	875,385
სულ საპროცენტო შემოსავალი	966,458	875,385
საპროცენტო ხარჯი		
სესხები დაკავშირებული მხარისგან	(404,921)	(373,903)
სულ საპროცენტო ხარჯი	(404,921)	(373,903)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	561,538	501,483

14. პერსონალის ხარჯი

	2017	2016
თანამშრომელთა ხელფასები და ბონუსები	(247,426)	(257,535)
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯი	(9,494)	(11,419)
თანამშრომელთა მიღების ხარჯები	(668)	(248)
თანამშრომელთა მივლინების ხარჯები	-	(12,415)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასი	-	(85,500)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,507)	(4,878)
	(259,093)	(371,995)

15. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
სხვადასხვა პროფესიული მომსახურებები	(45,960)	(36,149)
პროგრამული უზრუნველყოფის იჯარის ხარჯი	(32,485)	(22,050)
ოფისის იჯარის ხარჯი	(26,686)	(18,134)
საბანკო ხარჯები	(31,440)	(8,576)
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	(10,860)	(12,138)
ცვეთა და ამორტიზაცია	(9,229)	(7,537)
საოფისე მასალები	(8,638)	(12,412)
საწევროების ხარჯი	(4,312)	(4,074)
მგზავრობისა და ტრანსპორტირების ხარჯები	(2,481)	(15,038)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(237)	(359)
სხვა ხარჯები	(4,698)	(7,419)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(177,026)	(143,885)

16. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი

რისკების მართვა კომპანიის საქმიანობის ფუნდამენტურ ნაწილსა და მისი ოპერაციების არსებით ელემენტს წარმოადგენს. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

(ა) რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის განსაზღვრასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ასევე აქციონერებისთვის მისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის რეგულარულად წარდგენაზე.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით. სატრენინგო მართვის სტანდარტებისა და პროცედურების ფარგლებში კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული საკონტროლო გარემოს შემუშავება, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი როლი და ვალდებულება.

აქციონერები თვალს ადევნებენ თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის მიმოხილვას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ბ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია მართავს თავისი საბაზრო რისკების ფინანსურ ინსტრუმენტებზე ღია პოზიციის ზღვრების, საპროცენტო განაკვეთის ვადებისა და ვალუტის პოზიციების განსაზღვრით. ეს პროცესი რეგულარულად კონტროლდება, გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

(I) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებთან დაკავშირებული ცვლილებები. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან წარმოიშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2016 და 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	46,4%	45,27%
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	17,4%	17,15%

შენიშვნა: ს.ს. „მაიკროფინი“-ს აქვს 2 ტიპის მიღებული სესხები

1) აღებული ფონდი „კონსტანტასაგან“ 2015 წლის 15 თებერვალს 2,225,000 ლარიანი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით (31.12.17 -სთვის ათვისებულია სრულად 25 ქვესესხად).

სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილ განაკვეთს დამატებული მარჟა.

სესხის პროცენტის გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ, იანვრის თვეში, წინა წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე.

2) აღებული ფონდი „კონსტანტასაგან“ 2016 წლის 28 თებერვლის 225,000 ლარიანი სუბორდინირებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით (31.12.17 -სთვის ათვისებულია სრულად 3 ქვესესხად).

ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხები წარმოადგენენ სუბორდინირებულ სესხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებლის გადახდის უუნარობის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება ა.ა.ი.პ. ფონდი კონსტანტას მიმართ 2015 წლის 15 თებერვალს გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული სასესხო დავალიანება.

სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს დამატებული მარჟა.

სესხის პროცენტის გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ, იანვრის თვეში, წინა წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე.

ორივე ხელშეკრულებაში აღნიშნულია შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ს.ს. მაიკროფინმა ყოველი თვის ბოლოსათვის. ეს კოეფიციენტებია:

- 1) გაცემული სესხის ვადაგადაცილების კოეფიციენტი;
- 2) რისკის დაზღვევის კოეფიციენტი;
- 3) ჩამოწერის კოეფიციენტი;
- 4) რისკის ქვეშ მყოფი მთლიანი საკრედიტო პორტფელი;
- 5) უკუგება კაპიტალზე.

ხელშეკრულების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტების დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად. ეს კი აძლევს გამსესხებელს უფლებას, რომ თუ მსესხებელი ვერ შეძლებს ლოგიკურ დროში პრობლემის აღმოფხვრას, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის დღისთვის არსებული ვალდებულების სრულად და დაუყოვნებლივ შესრულება.

2016 წლის დეკემბრის თვის ბოლო მონაცემებით ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების საშუალო შეწონილი განაკვეთი 2015 წლის დეკემბერთან შედარებით შემცირდა 9,87%-დან 6,97%-მდე. ამას უნდა გამოეწვია 2017 წლიდან ს.ს. მაიკროფინის მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება. თუმცა, ს.ს. „მაიკროფინი“-მა ვერ

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა კოეფიციენტის დაცვა როგორც 2016, ასევე 2017 წელს.

მხარეებმა 2017 წლის 5 იანვარს გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ ს.ს. „მაიკროფინი“-მა ვერ შეძლო ფინანსური კოეფიციენტების დაცვა, რაც ზრდის გამსესხებლის რისკს და აძლევს მას სესხების ვადამდე გამოთხოვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთი კვლავ განისაზღვროს 2015 წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ კოეფიციენტებს, რაც დადასტურდება მსესხებლის ანგარიშით, მხარეები დამატებითი შეთანხმების საფუძველზე კვლავ გადახედავენ ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირების საკითხს.

იგივე სახის შეთანხმება გააფორმეს მხარეებმა 2018 წლის 5 იანვარსაც.

(II) სავალუტო რისკი

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე. კომპანიას საანგარიშო წლის ბოლოსთვის არ გააჩნია არც აღებული და არც გაცემული სესხები ვალუტაში.

(გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავს საკრედიტო კომიტეტის დაფუძნებას, ასევე ანალიტიკურ უწყებებს, რომლებიც პასუხს აგებენ სასესხო განაცხადებში ინფორმაციის ანალიზზე, და საკრედიტო რისკების შეფასებასა და მათ შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება ან არ დაფინანსების შესახებ. კომიტეტისთვის დამტკიცებულად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლასა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განაცხადში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა. შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. სესხების რეგულარული მონიტორინგი ასევე ხორციელდება შიდა აუდიტორის მიერ. მონიტორინგის შედეგები კვარტალში ერთხელ წარედგინება უმაღლეს მენეჯმენტს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

დამოკიდებულება საკრედიტო რისკებზე ასევე ნაწილობრივ ხორციელდება თავდებობის მეშვეობით.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

(დ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა ან/და მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა ტრანზაქციების მრავალფეროვნებიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე იშვიათია. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით. ლიკვიდურობის პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანია ცდილობს აქტიურად მოახდინოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების ბაზრის მხარდაჭერა, რაც მოიცავს გრძელ და მოკლევადიან სესხებს სხვა ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან, რომელსაც თან ახლავს ზელიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელები, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სწრაფად და უპრობლემოდ მოხდეს რეაგირება გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნებზე.

ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს და ლიკვიდურობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	მოთხოვნამდე და 3 თვეზე ნაკლები	3 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები				
ფული და მათი ექვივალენტები	46,782	-	-	46,782
კლიენტებზე გაცემული სესხები	136,353	1,369,133	1,457,137	2,962,623
სხვა აქტივები	19,138	-	-	19,138
სულ აქტივები	202,273	1,369,133	1,457,137	3,028,543
არაწარმოებული ვალდებულებები				
სესხები დაკავშირებული მხარისგან	(16,976)	-	(2,450,000)	(2,466,976)
სხვა ვალდებულებები	17,733	10,504		17,733
სულ ვალდებულებები	757	10,504	(2,450,000)	(2,449,243)
წმინდა პოზიცია	201,516	1,379,637	(992,863)	579,300

17. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2017 და 2016 წლების მოგება-ზარალში პერსონალის ხარჯში ასახულია ხელმძღვანელობაზე და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებზე დარიცხული ხელფასები და ბონუსები შემდეგი ოდენობით:

	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	109,623	207,845

31.12.2017 და 31.12.2016-ს დასრულებული წლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია ხელმძღვანელობაზე დარიცხული ბონუსების ვალდებულება:

	2017	2016
ბონუსი	6,500	-

მიღებული დაფინანსება სესხებისა და სუბორდინირებული სესხის სახით სრულად წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან - დამფუძნებლისგან მიღებულ დაფინანსებას. შესაბამისად, 2017 წლის პერიოდში წარმოქმნილი საპროცენტო ხარჯი 404,921 ლარის ოდენობით წარმოადგენს დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციას, რაც 2016 წელს წარმოადგენდა 373,903 ლარს. დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხების ნაშთები 31.12.2017 და 31.12.2016 მდგომარეობით და სხვა ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 10 და 16.

18. განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500,000 ლარისა 2018 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) არანაკლებ 1,000,000 ლარისა 2019 წლის 1 ივლისამდე;

ასევე, 2017 წლის 23 დეკემბერს მოეწერა ხელი საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც შეიზღუდა მეწარმე სუბიექტების მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა. ცვლილების მიხედვით, „თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.“ ეს ნაწილი ძალაში შედის კანონის გამოქვეყნებიდან მე-60-ე დღეს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გარდა ზემოთაღნიშნული ცვლილებებისა, აქტიურად განიხილება კანონების პროექტები, რომლებიც ძალაში შევა 2018-2019 წელს.

მოსალოდნელია გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპების შემოღება, რაც გულისხმობს იმას, რომ: ბანკს უნდა გააჩნდეს დაკრედიტებისას სხვადასხვა პროფესიების შესახებ რელევანტური სტატისტიკური მაჩვენებლების აკუმულირების სისტემა; სესხის მომსახურეობის PTI კოეფიციენტი (მსესხებლის ანუიტეტის ფარდობა მსესხებლის შემოსავალთან) უნდა შეესაბამებოდეს სეზ-ის მიერ დადგენილ ნორმებს; მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უნდა დაიცვას სეზ-ის მიერ რეკომენდირებული, ზოგიერთი პროფესიის მიხედვით დადგენილი, გაცემული თანხის ზედა ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება და სხვა.

მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შემოღება, რაც აღნიშნული წესით განსაზღვრული კოეფიციენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

ნორმატივებისა და ლიმიტების დაწესების მიზნით მოხდება სისტემის დიფერენციაცია შემდეგი ნიშნით:

- **მსუბუქი მიდგომა** – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთაც მოზიდული აქვთ სახსრები ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მათი საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლები ოდენობით;
- **მკაცრი მიდგომა** – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთაც მოზიდული აქვთ სახსრები ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მათი საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე მეტი ოდენობით;

დიფერენცირებული მიდგომა გამოიყენება კაპიტალისა და ლიკვიდობის კოეფიციენტების მიზნებისთვის;

	მსუბუქი მიდგომა	მკაცრი მიდგომა
კკ (კაპიტალის კოეფიციენტი)	18%	24%
ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი)	18%	25
ქკ (ქონებრივი ინვესტირების კოეფიციენტი)		40%
იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი)		15%
ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი)		15%
დაკ – (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი)		90%

ლიკვიდობის და კაპიტალის კოეფიციენტების დაცვის მოთხოვნა მოხდება 6 თვიანი ბიჯით:

ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი)

- **მსუბუქი მიდგომა** – 18 %-იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16% და 18% შესაბამისად 2018 წლის დეკემბრიდან;
- **მკაცრი მიდგომა** – 25%-იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 18%, 20%, და 25%-იანი დიაპაზონებით.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კკ (კაპიტალის კოეფიციენტი)

- **მსუბუქი მიდგომა** –18 %-იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16% და 18% შესაბამისად 2018 წლის დეკემბრიდან;
- **მკაცრი მიდგომა** – 24%-იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16%, 20%, და 24%-იანი დიაპაზონებით.

მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, სესხების შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესის შემოღება (2018 წლის 1 სექტემბრიდან), ეროვნული ბანკის მხრიდან, რაც სესხების შესაძლო დანაკარგების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, შემდეგი მიდგომის ჩამოყალიბებას გულისხმობს:

დარეზერვების დიაპაზონი							
	იპოთეკით უზრუნველყოფილი		ოქროთი და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი		სხვა მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი		საბლანკო
	LTV <= 70%	LTV > 70%	LTV <= 90%	LTV > 90%	LTV <= 40%	LTV > 40%	
30 დღემდე ვადაგადაცილება	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
30 - 60 დღე ვადაგადაცილება	10%	30%	0%	10%	10%	30%	30%
60 - 90 დღე ვადაგადაცილება	30%	50%	10%	30%	30%	50%	50%
90 - 180 დღე ვადაგადაცილება	50%	100%	30%	50%	50%	100%	100%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	100%		100%	100%	100%		

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მომზადებულია პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესატანად. ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული ნორმების გადავადებისთვის. კერძოდ, აღნიშნული გადასახადის გადამხდელები მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „კლასიკური მოდელს“ შეინარჩუნებენ ნაცვლად არსებული 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდისა, 2023 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2023 წლის 1 იანვრამდე კვლავ იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, თუმცა აფიქსირებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების სიმრავლის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ მათი ნაწილი ჯერ მხოლოდ პროექტის დონეზეა და გამუდმებით შედის ცვლილებები, არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ არსებითი განუსაზღვრელობის ირგვლივ მოცემულია მე-20-ე შენიშვნაში.

20. არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით

2018 წლის განმავლობაში, ასევე 2019 წლის დასაწყისში მოსალოდნელია საკანონმდებლო ცვლილებები (იხ.შენიშვნა 18) რომლებმაც შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინონ, როგორც ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს საოპერაციო საქმიანობაზე, ასევე მის მასშტაბზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „მაიკროფინი“ აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას (250,000 ლარი). საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, იგეგმება აქციონერების მიერ სააქციო კაპიტალის შევსება 1,000,000 ლარამდე (2018 წლის 1 სექტემბრამდე კაპიტალი შეივსება 250,000 ლარით, ხოლო 2019 წლის 1 ივლისამდე დამატებით -500,000 ლარით). გარდა ამისა, „მაიკრო ფინი“ გეგმავს დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას ფინანსური ინსტიტუტებიდან.

მომდევნო 3 წლის განმავლობაში, მაიკროფინი გეგმავს აქტივების გაზრდას 7 მლნ ლარამდე, ხოლო 2020 წლის ბოლომდე თანამშრომლების ზრდას 100%-ით.

დარგის საკანონმდებლო სივრცეში მოსალოდნელი ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება კომპანიაზე ამ მომენტისათვის საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებები ამ მომენტისათვის მხოლოდ პროექტის დონეზეა წარმოდგენილი და დამუშავების პროცესში მუდმივ ცვლილებებს განიცდის.

აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან შესაბამის შემთხვევაში განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
ლევან პაპიაშვილი

2018 წლის 13 ივნისი

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო



2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	46,782	376,773
წმინდა გაცემული სესხები	5	2,562,943	1,866,228
ძირითადი საშუალებები	6	19,908	27,512
არამატერიალური აქტივები	7	14,083	15,707
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	9,483	33,421
სხვა აქტივები	9	19,138	28,648
სულ აქტივები		2,672,336	2,348,289
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარისგან	10	2,240,471	2,144,958
სუბორდინირებული სესხი	10	226,505	100,000
სხვა ვალდებულებები	11	28,237	10,701
გადასახდელი გადასახადები		24,234	3,873
სულ ვალდებულებები		2,519,447	2,259,532
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(97,111)	(161,244)
სულ კაპიტალი		152,889	88,756
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,672,336	2,348,288

დირექტორი
ლელა კიკნაძე


31 მაისი 2018
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

31 მაისი 2018
თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	13	966,458	875,386
საპროცენტო ხარჯი	13	(404,921)	(373,903)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		561,538	501,483
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	5	(45,274)	(153,955)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვების შექმნის შემდეგ		516,264	347,528
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		510	950
მიღებული ჯარიმები და საურავები		37,932	73,286
პერსონალის ხარჯები	14	(259,093)	(371,995)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(177,026)	(143,885)
საკუროსო სხვაობით და გადაფასებებით მიღებული მოგება/ (ზარალი)		-	(176)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		118,587	(94,292)
მოგების გადასახადის სარგებელი /(ხარჯი)	8	(54,453)	15,586
პერიოდის მოგება (ზარალი)		64,134	(78,706)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მოგება (ზარალი) და სრული შემოსავალი		64,134	(78,706)


დირექტორი
ლელა კიკნაძე
31 მაისი 2018
თბილისი


მთავარი ზუღაღტერი
ეკატერინე ცანავა
31 მაისი 2018
თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
12/31/2015	250,000	(83,751)	166,249
კორექტირება		1,213	1,213
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(78,706)	(78,706)
12/31/2016	250,000	(161,245)	88,755
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	64,134	64,134
12/31/2017	250,000	(97,111)	152,889

დირექტორი
ლელა კიკნაძე

31 მაისი 2018

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა

31 მაისი 2018

თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
სულ წლის სრული მოგება	64,134	(78,706)
არაფულადი ერთეულების კორექტირება:	-	1,213
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	54,453	(15,586)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,229	7,537
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	45,274	153,955
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	173,090	68,413
ცვლილებები კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(741,989)	146,888
დარიცხული საპროცენტო ხარჯის ზრდა/(კლება)	2,018	-
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში გარდა მოგებისა	(10,156)	3,873
ცვლილებები სხვა აქტივებში	9,509	(31,536)
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	17,536	(31,271)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები პროცენტის მიღებამდე/(გადახდამდე)	(549,991)	156,367
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(549,991)	156,367
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(28,324)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(28,324)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	125,000	100,060
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	95,000	100,547
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	220,000	200,607
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(329,991)	328,650
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	376,773	48,123
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	46,782	376,773

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში სს „მაიკროფინის“ მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 819,028 და 402,903 ლარი.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მის მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 773,136 და 373,295 ლარი.

დირექტორი

ლელა კიკნაძე

31.12.2018

თბილისი

მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცანავა

31.12.2018

თბილისი

წერილი ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის აქციონერებს

წერილის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული წერილის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის აქციონერებისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არა რომელიმე სხვა მიზნით. აღნიშნული წერილის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული წერილის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული წერილი და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს, მმართველობის ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს - „საქმიანობის მიმოხილვა“-ს, რომელიც წლიური ანგარიშის ნაწილია და რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „საქმიანობის მიმოხილვა“-ს, როგორც მმართველობის ანგარიშგების ნაწილს მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის პერიოდისათვის მომზადებული, მმართველობის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილი „საქმიანობის მიმოხილვა“, აუდიტორის მიერ მიღებული იქნა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე, აუდიტორის 2018 წლის 13 ივნისის დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგების ნაწილს - „საქმიანობის მიმოხილვა“) და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრულ (მმართველობის ანგარიშგების ნაწილს „საქმიანობის მიმოხილვა“) და გამოვთქვათ მოსაზრება, სხვა ინფორმაცია - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - „საქმიანობის მიმოხილვა“, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ან/და ასევე არის თუ

არა თანხვდენილი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ან სხვა ინფორმაცია არ არის თანხვდენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება და მოსაზრების გამოთქმა.

თანხვდენილობა ფინანსურ ანგარიშგებასთან

მმართველობის ანგარიშგების ნაწილი „საქმიანობის მიმოხილვა“, თანხვდენილია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

აქვე ავღნიშნავთ რომ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განხილული იყო ორგანიზაციის გეგმები მომდევნო 3 წლის განმავლობაში აქტივების 7 მლნ ლარამდე და თანამშრომელთა 100%-ით გაზრდის შესახებ. აღნიშნული გეგმის განხორციელების დაწყებასთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს დაელოდოს დარგის საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებების საბოლოო სტატუსით ჩამოყალიბებას, რის შემდეგაც მოხდება იმ მომენტისათვის ფაქტობრივად არსებულ გარემოებებზე მორგებული ახალი გეგმის შემუშავება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილის - “საქმიანობის მიმოხილვის“, ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე ვაცხადებთ რომ მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - “საქმიანობის მიმოხილვა“, შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ ს.ს. მაიკრო ფინთან (ამჟამად ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი) გაფორმებული, 2017 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულებისა და გარიგების წერილის, ასევე 2017 წლის 4 დეკემბრის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2016 და 2017 წლების 31

დეკემბრით დასრულებული წლების ანგარიშგების აუდიტი, ამასთანავე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წლიური ანგარიში მოიცავდა, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვა). აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს ორ წელს, რომლებიც შესაბამისად 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლებს მოიცავს. გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინისათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებლები ვიყავით ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინისაგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
ლევან პაპიაშვილი

2018 წლის 26 სექტემბერი

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

სააქციო საზოგადოება მაიკრო ფინის საქმიანობის მიმოხილვა

ისტორია:

სს მაიკრო ფინი დაარსდა 2014 წლის ნოემბერში. 2015 წლის 27 იანვარს დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება არასაბანკო ზედამხედველობას. სს მაიკრო ფინი არის საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციისა და საერთაშორისო ორგანიზაცია MFC-ის წევრი.

სს მაიკრო ფინის აქციების 90%-ს ფლობს სს "კონსტანტა", რომელიც საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს წარმოადგენს და ფონდი „კონსტანტა“, არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც აქციების 10% -ის მფლობელია.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2015, 2016 წლები საწარმომ დაასრულა ზარალით, შესაბამისად 83 751(დაფუძნების თარიღიდან 2014 წლის 17 ნოემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე) და 78 706 ლარის ოდენობით. 2017 წლის პერიოდზე მოგებამ შეადგინა 64 134 ლარი. რაც გამოწვეულია საკრედიტო პორტფელის ხარისხის ზრდით. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით საკრედიტო პორტფელის 35%-იანი ზრდის ფონზე, 29%-ით შემცირდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენდა 250 000 ლარს.

2017 წელს პორტფელის ზრდის მიუხედავად, საწარმო წინა წლის მსგავსად ისევ ერთ ლოკაციაზე ოპერირებს და უახლოეს მომავალში არ გეგმავს დამატებითი ფილიალების გახსნას. 2017 წელს არ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომელთა რიცხვში.

ფინანსურ ანგარიშგებაში განხილული იყო ორგანიზაციის გეგმები მომდევნო 3 წლის განმავლობაში აქტივების 7 მლნ ლარამდე და თანამშრომელთა 100%-ით გაზრდის შესახებ. აღნიშნული გეგმის განხორციელების დაწყებასთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს დაელოდოს დარგის საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებების საბოლოო სტატუსით ჩამოყალიბებას, რის შემდეგაც მოხდება იმ მომენტისათვის ფაქტობრივად არსებულ გარემოებებზე მორგებული ახალი გეგმის შემუშავება.

მმართველობა:

სს მაიკრო ფინის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასევე კომპანიის მენეჯმენტში დასაქმებულ პირებს აქვთ დიდი გამოცდილება მართვის სფეროში, რაც ეფექტური მართვის საფუძველს ქმნის.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - თამარ ლებანიძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ლევან ლებანიძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ზვიად მირიანაშვილი. კომპანიის მენეჯმენტი: კომპანიის დირექტორი - ლელა კიკნაძე, საკრედიტო ჯგუფის უფროსი - დავით ხიზანიშვილი.

ფინანსური ბაზრის მიმოხილვა:

2017 წლის ბოლოს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე კომერციული ბანკების გარდა წარმოდგენილი იყო 75 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და რამდენიმე საკრედიტო კავშირი.

2016-2017 წლებში ძალაში შესულმა კანონმდებლობამ, 2018 წლის პერიოდში მოსალოდნელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, გამკაცრებულმა არასაბანკო ზედამხედველობამ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულმა რეგულაციებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანიის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

სააქციო კაპიტალი 250 000 ლარი

სესხის სახით მოზიდული სახსრები 2 450 000 ლარი

მიღებული სესხების ვადიანობა:

3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1წელზე მეტი	ჯამი
-	-	2 450 000	2 450 000

მიღებული სესხების ვალუტა:

ლარი	ჯამი
2 450 000	2 450 000

სუბსიდირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ცვლილებები ნეტო ვალში ან გრძელვადიანი ვალდებულებების დაფინანსების გზები):

	ნაშთი 31.12.2016	ფულადი ნაკადები	კურსის ცვლი- ლების ეფექტი	ნაშთი 31.12.2017
სასესხო ვალდებულებები	2 230 000	220 000	-	2 450 000

მიღებული სესხები 2017 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 2016 წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა.

დარგის საკანონმდებლო ცვლილებები

2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად, გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში კაპიტალის სავალდებულო მინიმალური ოდენობა 1 მილიონ ლარამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებით განისაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის შევსების წესი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500,000 ლარისა 2018 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) არანაკლებ 1,000,000 ლარისა 2019 წლის 1 ივლისამდე;

ამავე ბრძანებით განისაზღვრა ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ესენია: ა) კკ (კაპიტალის კოეფიციენტი); ბ) ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი); გ) იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი); დ) ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი); ე) ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი); ვ) დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი).

ასევე, 2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც შეიზღუდა მეწარმე სუბიექტების მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა. ცვლილების მიხედვით, „თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №142/04 ბრძანებით განისაზღვრა აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი.

2018 - 2019 წლების პერიოდში მოსალოდნელია გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპების შემოღება, ფიზიკურ პირებთან მიმართებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის გარდამავალ დებულებებში შევიდა ცვლილება: ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული ნორმების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული გადასახადის გადამხდელები მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „კლასიკურ მოდელს“ შეინარჩუნებენ 2023 წლის 1 იანვრამდე, ნაცვლად დაანონსებული 2019 წლის 1 იანვრისა. შესაბამისად, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2023 წლის 1 იანვრამდე კვლავ იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საქმიანობის მიმოხილვა:

სს მაიკრო ფინის ამოცანას წარმოადგენს მიკრო ასევე მცირე ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში, მომხმარებლების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის შეთავაზების გზით.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსურ პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალური ბიზნეს სესხები.

ორგანიზაციას ჩამოყალიბებული აქვს კორპორატიულ სტრატეგიები:

1. კლიენტებისათვის სწრაფი და კვალიფიციურ მომსახურების შეთავაზება და მათთვის დაბალი ტრანზაქციული ხარჯების უზრუნველყოფა;
2. მაღალი ეფექტურობისა და პროდუქტიულობის მიღწევა;
3. მაღალი ხარისხის საკრედიტო პორტფელის შენარჩუნება;

სს მაიკრო ფინი ოპერირებს თბილისის მასშტაბით, კონკურენტული სერვისის შეთავაზების მიზნით, ფუნქციონირებს ფილიალების გარეშე, აქვს ცენტრალური ოფისი, რომელიც ამავდროულად ერთადერთ ფილიალსაც წარმოადგენს. ცენტრალური ოფისი მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი,

აღმაშენებლის 154. ორგანიზაცია კლიენტებს დაკრედიტებას მათ სამუშაო ადგილებზე სთავაზობს, ოფისში მისვლისა და დამატებითი ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებაზე დროის დაკარგვის გარეშე. ტრანზაქციის (განაცხადის მიღებიდან სესხის გაცემამდე პერიოდი) მაქსიმალური ვადაა 1 სამუშაო დღე. კლიენტები სესხის თანხას კომპანიის პლასტიკური ბარათების მეშვეობით იღებენ. მუშობის ზემოაღნიშნული პრინციპი კომპანიას საშუალებას აძლევს იყოს პოტენციური კლიენტისთვის ერთნაირად მიმზიდველი მისი ბიზნესის მასშტაბისა თუ საქმიანობის სფეროს მიუხედავად; რამეთუ იძლევა სწრაფი, ეფექტური და შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის მიღების შესაძლებლობას.

ეფექტური და სტანდარტების შესაბამისი ფუნქციონირებისთვის, სს მაიკრო ფინი იყენებს კომპანია ალტა სოფთვეარის საკმაოდ დახვეწილ პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც საოპერაციო რისკების მინიმუმადე დაყვანის, სრულფასოვანი რეპორტირებისა თუ სხვადასხვა ცვლილებების მარტივად და ოპერატიულად ინტეგრირების საშუალებას იძლევა.

სს მაიკრო ფინის სამართლებრივად გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი იურიდიული კომპანია, ხოლო ბუღალტრულ მომსახურებას უწევს ბუღალტრული კომპანია. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულები არიან, შესაბამის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე, მღვაწივალადი ფინანსური კადრები.

ორგანიზაციის სტაბილური ფუნქციონირების საფუძველს, ფინანსურ მდგრადობასთან ერთად, გუნდური სულისკვეთება წარმოადგენს, რაც როგორც ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების მოზიდვით ასევე კომპანიაში უკვე დასაქმებულთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებით მიიღწევა. კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას და ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნას. გუნდის მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოქმედებს საბონუსო სისტემა. თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით (სრული დაფინანსება).

სს მაიკრო ფინის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ და სტრატეგიამ, კომპანიის სტაბილურად განვითარების ტენდენცია განაპირობეს, რაც საკრედიტო პორტფელის ზრდაში და მისი ხარისხის მაჩვენებლებში გამოიხატება. 2017 წელს, კომპანიის აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისობაში იყო დაგეგმილ და ზოგადად მიკროსაფინანსო სექტორში დაფიქსირებულ საჯარო შედეგებთან მიმართებაში. ქვეყანაში არსებული გარემოსა და სხვადასხვა უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, ოპერატიული და ადექვატური გადაწყვეტილებების ხარჯზე, კომპანიამ შეძლო საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებული მინიმალური რისკების სტაბილურ დონეზე შენარჩუნება.

საკრედიტო და საოპერაციო რისკების დაბალ მაჩვენებელს, ერთის მხრივ, განაპირობებს კომპანიაში არსებული შიდა აუდიტის სამსახურის გამართული ფუნქციონირება, ხოლო მეორე მხრივ მენეჯმენტის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული სისტემატური კონტროლი.

კომპანიას შემუშავებული აქვს დარეზერვების პოლიტიკა, რაც თავის მხრივ აზღვევს შესაძლო დანაკარგებს და ფინანსური მდგომარეობის ობიექტურად ასახვის შესაძლებლობას იძლევა.

მომავალი განვითარების გეგმა:

საშუალოვადიან პერსპექტივაში საკუთარ თავს ვხედავთ, როგორც მიკროსაფინანსო ბაზარზე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ერთ-ერთი საინტერესო და მოთხოვნად არჩევანს. ჩვენი ხედვის მიხედვით - საშუალოვადიან პერსპექტივაში, ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკროფინი იქნება ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მეწარმეებს საკრედიტო პროდუქტებს, ამაჟამად არსებული კონცეფციისა და ბოლო პერიოდში ძალაში შესული, ასევე ახლო მომავალში მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში შესთავაზებს.

კომპანიის თანამშრომლების ეფექტურობის გაზრდისა და გუნდური სულისკვეთების ამაღლების მიზნით, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ტრეინინგები და თანამშრომელთა არასამსახუროებრივი შეკრებები.

ცნობადობის და სანდოობის ამაღლების მიზნით, ხორციელდება გეგმაზომიერი აქტივობები, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ასევე სხვა მიმართულებით; შეიქმნა კომპანიის ვებ და ფეისბუქ გვერდი.

რისკები:

სს „მაიკროფინის“ მენეჯმენტი აცნობიერებს შესაძლო ძირითად რისკებს, როგორცაა საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. პრევენციის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხორციელდება რისკების რეგულარული მონიტორინგი საქმიანობის სფეროების ჭრილში.

სავალუტო რისკის წინაშე კომპანია არ დგას, რადგან აღებული და გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში არ გააჩნია.

საკრედიტო რისკი

ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიაღება ფინანსური ზარალი.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომლითაც ხდება საკრედიტო რისკების მართვა. კლიენტის სასესხო განაცხდს განიხილავს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ.) საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე, მისი ბიზნესის გადახდისუნარიანობის ანალიზი, ფინანსური ზარალის რისკის თავიდან დროულად აცილების საშუალებას იძლევა. შიდა აუდიტის მიერ ხორციელდება მონიტორინგების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონსოლიდირება და კვარტალში ერთხელ სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა.

ამავე ორგანოს მოთხოვნით და მისივე კონტროლის ქვეშ ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი პორტფელის კონცენტრაციასთან მიმართებაში, დაფინანსებული მსესხებლების საქმიანობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. მოკლევადიან პერიოდში კომპანია არ აქვს ლიკვიდურობის რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებიდან კომპანიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2017 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც გაცემულ სესხებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ჭერი 100%-ით

განისაზღვრა. ამ ცვლილებას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მის მიერ გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-ზე დაბალი იყო.

არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს დარგის მარეგულირებელ საკონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც დეტალურად ზემოთ არის მოცემული. (იხილეთ დარგის საკანონმდებლო ცვლილებები). დარგის საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება კომპანიაზე ამ მომენტისათვის საკმაოდ რთულია. (იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებები ამ მომენტისათვის პროექტის დონეზეა წარმოდგენილი და დამუშავების პროცესში მუდმივ ცვლილებებს განიცდის).

აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინონ, როგორც ს.ს. მაიკრო ფინის საოპერაციო საქმიანობაზე, ასევე მის მასშტაბზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „მაიკროფინი“ აკმაყოფილებდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას 250 000 ლარის ოდენობით - საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად. მომავალი პერიოდის განმავლობაში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საზედამხედველო კაპიტალი აქციონერების მიერ შეივსება 1 000 000 ლარამდე.

9 ივლისი 2018 წელი

სამეთვლეყურო საბჭოს თავმჯდომარე
თამარ ლებანიძე,

დირექტორი
ლელა კიკნაძე

დეკემბრით დასრულებული წლების ანგარიშგების აუდიტი, ამასთანავე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წლიური ანგარიში მოიცავდა, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვა). აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს ორ წელს, რომლებიც შესაბამისად 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლებს მოიცავს. გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინისათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებლები ვიყავით ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინისაგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
ლევან პაპიაშვილი

2018 წლის 26 სექტემბერი
პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

განისაზღვრა. ამ ცვლილებას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მის მიერ გადებული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-ზე დაბალი იყო.

არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს დარგის მარეგულირებელ საკონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც დეტალურად ზემოთ არის მოცემული. (იხილეთ დარგის საკანონმდებლო ცვლილებები). დარგის საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება კომპანიაზე ამ მომენტისათვის საკმაოდ რთულია. (იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებები ამ მომენტისათვის პროექტის დონეზეა წარმოდგენილი და დამუშავების პროცესში მუდმივ ცვლილებებს განიცდის).

აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინონ, როგორც ს.ს. მაიკრო ფინის საოპერაციო საქმიანობაზე, ასევე მის მასშტაბზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „მაიკროფინი“ აკმაყოფილებდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას 250 000 ლარის ოდენობით - საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად. მომავალი პერიოდის განმავლობაში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საზედამხებდებლო კაპიტალი აქციონერების მიერ შეივსება 1 000 000 ლარამდე.

9 ივლისი 2018 წელი

სამეთვლეყურო საბჭოს თავმჯდომარე
თამარ ლებანიძე,

დირექტორი
ლელა კიკნაძე